ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში

გიორგი ჯავაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჯავაშვილი, გ.ჯავაშვილი 15.06.2023

აბსტრაქტი

მართლმსაჯულების განვითარებისა და ნდობის მხრივ აუცილებელია შეფასებულ იქნეს თუ რამდენად კარგად არის მოწესრიგებული საკანონმდებლო რეგულაციები და ის ნორმები, რასაც ეყრდნობა სისხლის სამართლის პროცესი. ვინაიდან, გარდა ნორმატიული რეგულირებისა, როგორც შიდა, ისევე საერთაშორისო დონის სასამართლოების პრაქტიკა, საკმაოდ მნიშვნელოვანია გარკვეული საკითხების მოწესრიგებისთვის, აუცილებელია რომ არსებობდეს ის გარემოებები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გასცემს პასუხს როგორც სასამართლოს, ისევე პროცესის მონაწილე მხარეთა ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.

წინამდებარე ნაშრომი ზუსტადაც, რომ ეხება იმგვარი აქტუალური საკითხების შეფასებასა და ანალიზს, როგორებიცაა ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისობა კანონთან, მათი დასაშვებობა და ბუნება, როგორც მტკიცებულებითი, რომლებიც შემდგომში უნდა დაედოს განაჩენს საფუძვლად. ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოიკვეთოს ის გარემოებები, რომლებიც ბრალდებულზე განხორციელებული იძულებითი ღონისძიებების დროს არის მიმართული და მიზნად ისახავს მის წინააღმდეგ კონკრეტული ინფორმაციის, ნივთის, ნივთიერებისა თუ სხვა რაიმე საგნის/ობიექტის მოპოვებას. ამასთან, ნაშრომში არის მცდელობა იმისა, რომ პასუხი გაეცეს რა მომენტში და რა დოზით არის შესაძლებელი პირის უფლებებში ჩარევა, როდის აქვს კონკრეტულ პიროვნებას ვალდებულება იმისა, რომ გამოძიების მწარმოებელი ორგანოების მხრიდან, ზემოაღნიშნული ჩარევა ითმინოს.

საკვლევი საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გასარკვევია თითოეული ზემოაღნიშნული გარემოება არის თუ არა შესაბამისი კანონიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნებთან იმ მოცემულობით, როდესაც იძულება და ბრალდებულის უფლებებში ჩარევა ხელს უწყობს მის მსჯავრდებას. ამას გარდა, წარმოსაჩენია ის ბუნდოვანი პრაქტიკა და განმარტებები, რომლებიც არსებობს ამ

საკითხთან დაკავშირებით როგორც შიდა, ისევე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოსი.

კვლევის შედეგად აისახა, რომ შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, ბრალდებული ვალდებულია ითმინოს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მიუხედავად მისი ნების წინააღმდეგობისა. ამასთან, აისახა ნორმატიული ჩანაწერების ის გარემოებები, რომლებიც ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს სხვაგვარად და კონკრეტული მოქმედების განხორციელებისას, როდესაც საქმე ეხება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს აუცილებელია მისი მიზნის განსაზღვრა და ჩატარების გარემოებები, რათა უკანონო პროცესუალურ მოქმედებად არ გადაიზარდოს კონკრეტული სახის ჩარევა.

კვლევა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, ეფუძნება არამარტო სხვადასხვა სახის ლიტერატურასა თუ სტატიას, ასევე ქვეყნის შიდა და უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რადგანაც სასამართლოთა, განსაკუთრებით კი, ევროპული სასამართლოს შეფასებები და დადგენილი პრაქტიკა უმნიშვნელოვანესი წყაროა, კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულის უფლებების განმარტებისა და შეფასებებისთვის, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებს გამოძიების მწარმოებელი ორგანოს კონკრეტული კანონიერი თუ უკანონი ქმედებების საპასუხოდ და გარანტიად. ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა საქართველომ, ამიტომ იგი თავის, შესაბამის ადგილს იკავებს ქვეყნის საკანონმდებლო აქტებს შორის და თითოეული კანონისმიერი დარღვევა, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს უნდა ჯდებოდეს კონვენციის ფარგლებში.

ძირითადი საძიებო სიტყვები : ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მოპოვებული მტკიცებულება, იძულების პროპორციული ზომა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თმენის ვალდებულება, უფლებებში უხეში ჩარევა.

Abstract

In terms of the development of justice and trust, it is important to examine the effectiveness of legal regulations and the underlying norms that form the foundation of the criminal process. Since, in addition to normative regulation, the practice of both domestic and international level courts is quite important for the regulation of certain issues, it is necessary that there are circumstances that in each specific case will give an answer to the actions and decisions of both the court and the parties involved in the process.

The present paper is precisely concerned with the assessment and analysis of such relevant issues as the compliance of the evidence obtained against the will of the accused with the law, their admissibility and nature as evidence, which should subsequently be used as a basis for the verdict. The main purpose of the paper is to highlight the circumstances that are directed at the defendant during coercive measures and aimed at obtaining specific information, items, substances or any other subject/object against him. In addition, the paper attempts to answer at what moment and in what dose it is possible to interfere with a person's rights, when a specific person has the obligation to tolerate the abovementioned interference from the investigating authorities.

The research issue holds significant importance as it aims to determine whether the mentioned circumstances align with the principles of legality and justice, particularly in cases where coercion and infringement upon the rights of the accused can influence their conviction. Additionally, the paper seeks to address the ambiguous practices and definitions surrounding this matter, both at the domestic level and within the framework of the International Court of Human Rights.

As a result of the research, it was shown that in the presence of the relevant grounds, the accused person is obliged to tolerate the intervention of the state within the framework of the criminal legal process, despite the opposition of his will. In addition, the circumstances of the normative records were reflected, which should be interpreted in a different way and when carrying out a specific action, when it comes to the evidence obtained against the will of the accused, it is necessary to determine its purpose and the circumstances of its implementation, so that a specific type of intervention does not turn into an illegal procedural action.

The research, depending on it's goals, is based not only on different types of literature or articles, but also on the practice of the domestic and European Court of Rights, because the evaluations and high practices of the courts, specifically the European Court, are the source of

science. that in response to and as a guarantee of the search legal or illegal action of the issuing authority. It has ratified the European Convention on Human Rights, so it, in turn, has a place in the country's legislative bloc.

Search words: main tools of the accused evidence obtained, responsible proportional measure, European Court of Human Rights, obligation of tolerance, gross interference with rights